


ნისან ბაბალიკაშვილი



ნისან ბაბალიკაშვილს ამ დღეებში 50 წელი შეუსრულდებოდა. სულ ახალგაზრდა წავიდა იგი ამ ქვეყნიდან, ორი წლის წინათ სამუდამოდ გააცალეს მეგობრებმა, ახლობლებმა და ნათესავებმა.

ნისან ბაბალიკაშვილი სემიოლოგიის ქართული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი იყო. საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერების, აკად. გ. წერეთლისა და პროფ. კ. წერეთლის ხელმძღვანელობით, მათ გვერდით წლების

განმავლობაში მუშაობით ჩამოყალიბდა ნისან ბაბალიკაშვილის მეცნიერული ხედვა. ოქახურმა გარემომაც დიდად შეუწყო ხელი სპეციალისის არჩევანში. მამამ, თბილისელ ებრაელთა სულეიერმა მოძღვარმა, ისრაელ ბაბალიკაშვილმა ჩაუნერგა პატარა ნისანს მშობლიური ენისა და კულტურის უსაზღვრო სიყვარული, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ განელეზა. ნისან ბაბალიკაშვილი ზედმეტი ფლობდა ებრაულს, ღრმად იყო ჩახედული ბიბლიის ტექსტში და დაუზარებლად უზიარებდა ყველას თავის ცოდნას, გამოცდილებას. მის ორგვლივ ყოველთვის ტრიალებდნენ სპეციალისტები. ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის საიდუმლოებით მოცული შრებები ნისანისათვის ნაცნობი და ვასაგები იყო. ყოველივე აწას ემატებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნა, რომელმაც გამოხატულემა პპოვა ნისან ბაბალიკაშვილის მიერ ებრაულადან შესრულებულ ძველი აღთქმის წიგნების თარგმანებში. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ „ქლესიასტიკა“, „იერემიას გოდება“ და „როთი“.

თავისი წველილი შეიტანა ნისან ბაბალიკაშვილმა „ვეფხისტყაოს-

ნის“ ბოლის გაპროვინციული ებრაული თარგმანის წარმატებით განხორციელებაში. იგი დიდად იყო დაინტერესებული, რათა ხსენებული თარგმანით ებრაელ მეოთხეელს ღრმად ჩაეხედა ქართულ ლიტერატურაში, გაეთავისებინა მისი მხატვრული და ფილოსოფიური სიღრმე. მისი ხაზუალებით გაიკნო ქართველმა შეითხველმა თანამედროვეობის დიდებული მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის შემუშეულ აგნონის შემოქმედება, მანვე დახატა შუა საუკუნეების გამოჩენილ ებრაელ პოეტთა და მოღვაწეთა — ივშუდა შალოვის, უდოელ შანაგიდის, აბრაჰამ ბენ ეზრას, მოზე იბნ ეზრას, შელოში იბნ გეპიროლის, იმანუელ რომაელის და სხვათა ლიტერატურული პორტრეტები.

ნისან ბაბალიკაშვილი წარმატებით სწავლობდა ამიერკავკასიისა და ყირიმის ებრაულ ემიგრაციულ ძეგლებს. ამ სფეროში შექმნა საუკუნოდ დღემდე ნაშრომები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ აღნიშნულ რეგიონებში. ებრაული ენისა და კულტურის ტრადიციების შესასწავლად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნისან ბაბალიკაშვილის დეაწლი საქართველოში არსებული ებრაული ემიგრაციული ძეგლების შე-

სწავლის საქმეში. ამ ხაკითხიხალში იყო მიმღწილი მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მკვლევარის მიერ გამოვლენილი 100-ზე მეტი ებრაული ემიგრაციული ძეგლის აღწერილობა. ნისან ბაბალიკაშვილი ყურადღებით აკვირდებოდა ადგილობრივ ქართველ ებრაელთა ენობრივ თავისებურებას, ქართველი ებრაელების მიერ ებრაული ტექსტების წაკითხვის ტრადიციებს, ცდილობდა მათ ახსნას. ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი სახელი და ავტორიტეტი, რომლითაც გამოირჩეოდა ნისან ბაბალიკაშვილი სპეციალისტთა ფართო წრეებში. მოკრძალებული, ჩუმი, უარეტიწიო და, ამავე დროს, უაღრესად დაკვირვებული და საქმიანი პიროვნება დეკარგეს მისი სახით მეგობრებმა და კოლეგებმა.

შარშან ნისან ბაბალიკაშვილის საფლავზე მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად დაიდგა ძეგლი, რომლის ავტორია საქართველოს სახელმწიფო და საერთაშორისო ბიენალეს პრემიის ლაურეატი არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი, (რელიეფური პორტრეტი შეასრულა მოქანდაკე ჯონი გოგიბერაშვილმა, ქვის ოსტატებია თეიმურაზ სულხანიშვილი და ჯემალ დათუაშვილი). ძეგლი აღდგენს ქართული ებრაული სიმბოლიკით აღ-

ბეჭდილ ხელოვნების ქმნილებას რომელიც ავტორის ჩანაფიქრი ბიბლიურ „სიცოცხლის ხესთან და ვაჟთან იღებს სათავეს, საუკუნეთა წიაღში რომ დღისათვის ორ ერის მეგობრობის ნიშნად, ხალო თავისი წილი მეზვრეობა ნისან ბაბალიკაშვილმა წმინდად და ნათლად აღასრულა. თერთ მარშილიში თლილი ქვა-სვეტი ოკროსფერის გამოყენებით სწორე ამ იღვის მატარებელია.

ნისან ბაბალიკაშვილის ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობითელი მისი ცხოვრება არის ქართველ და ებრაელ ხალხთ შორის საუკუნეების განმავლობაში ღრმად ფესვგადგმული ურყვე მეგობრობის ნათელი მაგალითი. მრავალრიცხოვანი მოწაფეები კოლეგები და მეგობრები დღეს განსაკუთრებული სიბოლოი იხსენებენ ნისან ბაბალიკაშვილს, ხოლო მისი სულის გამოწაშუქი არსოვლის დაბინდება იმით ხსოვნში, ვისთვისაც ძვირფასია ხალთა შორის მშობისა და თანაარსებობის წმინდათა წმინდა იდეალები.

უზრაბ კიკნაძე
ჯემალ აკიაშვილი
გივი შანაშარი
ვურაბ ჩიქოვანი
 სურათზე: ნისან ბაბალიკაშვილის ძეგლი-მემორიალი.